საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 568 | კვირა, სექტემბრის 9 | 1923 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 150,000

გაზეთი „ტრიბუნა“

ენკენისთვის 1-დან ღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის
თვიურად . . . . . . 3.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო
პირთათვის . . . . . 4.000.000 „
ცალკე ნომერი . . . . . 150.000 „

## ავადმყოფი ორგანიზაცია

საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის არსებობს ერთი ავადმყოფი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას „ერთა ლიგა“ ეწოდება მისი დაარსებისას ყველა ქვეყნის იმპერიალისტები ჰქმნიდენ საოცნებო ზღაპრებს მუშათა კლასის მოსატყუებლად. პირდებოდენ ქვეყნებს მშვიდობიანობის და სამართლიანობის გამტკიცებას, ერთა ურთიერთობის მოწესრიგებას და სხ. და სხ. ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი იყო „ერთა ლიგის“ შექმნა. მაშინ ვილსონის პოლიტიკურ კარიერას შუქს ჰფენდა „ერთა ლიგის“ შესახებ გამართული მასლაათი. როგორც ვიცით ამერიკის შეერთებული შტატები შემდეგ დამოუკიდებლად აწარმოებდა „ნეიტრალურ“ პოლიტიკას და არ საჭიროებდა უსიცოცხლო ორგანიზაციის ავტორიტეტს. აწ განსვენებული გარდინგიც ვერ იყო კმაყოფილი „ერთა ლიგით“. და მას სურდა, რომ იგი შეცვლილიყო „ერთა ასოციაციათ“, ხოლო შეკითხვაზედ,—თუ რით განსხვავდებოდა „ერთა ლიგა“ „ერთა ასოციაციისაგან“ უპასუხა არ ვიციო.

„ერთა ლიგა“ დღიდან მისი არსებობისა უნიათო, უსიცოცხლო და ავადმყოფი ორგანიზაცია იყო და არის. ვერც ერთი სერიოზული კონფლიქტი ერთა და სახელმწიფოთა შორის, ფინანსიურ ეკონომიური, თუ მილიტარულ ხასიათის „ერთა ლიგის“ მიერ ვერ იქნა მოწესრიგებული და გადაჭრილი. ეს არც საკვირველია. ერთა ლიგაში სხედან ისევ ის ყაჩაღები, რომელნიც საქვეყნოდ ზავისა და მშვიდობიანობის დეკლარაციებით გამოდიან, ფაქტიურად კი შეიარაღების პროექტებს ანხორციელებენ, ჰქმნიან ერთა შორის ავანტიურებს, გადადიან მუშათა მასების თავდასხმაზედ.

დღესაც, როდესაც იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტმა სერიოზული ხასიათი მიიღო, როდესაც იტალეთის ფაშისტური ხელისუფლება ცდილობს საგარეო ავანტიურებით შეაჩეროს საშინაო ცხოვრების აწეწილი მდგომარეობა, როდესაც ის კონფლიქტი საერთაშორისო ხასიათს იღებს, სადაც ხდება მთელი რიგი სახელმწიფოების ინტერესთა დაპირისპირება, ავადმყოფი ორგანიზაციაც შეინძრა და შეეცადა კონფლიქტის მოგვარებას. როგორც ყოველთვის, აქაც თავი იჩინა „ერთა ლიგის“ ავადმყოფობამ. მუსოლინი „ერთა ლიგიდან“ გამოსვლით იმუქრება. იგი მოითხოვს, რომ „ერთა ლიგამ“ არ განიხილოს კონფლიქტი.

ნეიტრალური სახელმწიფონი აცხადებენ, რომ ისინი გამოვლენ „ლიგიდან“. იაპონიის დელეგატი „ერთა ლიგის“ სხდომაზედ აცხადებს, რომ „ლიგას“ არ ექნება ავტორიტეტი, სანამ მასში არ იქნება რუსეთის და გერმანეთის დელეგატებიო.

„ერთა ლიგა“ ვერაფერს აკეთებს. ეს მისი ტრადიციული ჩვეულებაა. შეუძლებელია ანტოგონისტურ მეურნეობის ნიადაგზედ მილიტარული ზოგებით დაპირისპირებულ ერთა შერიგება და ზავის დამყარება. საერთაშორისო კონფლიქტებში მშრომელმა ხალხმა უნდა ჩაალრჩოს იმპერიალისტთა ჰეგემონობა და „ერთა ლიგის“ ნაცვლად უნდა აღმოცენდეს შრომის სოციალისტურ რესპუბლიკათა მსოფლიო კონფედერაცია.

## დღიური

— იტალეთი განაგრძობს მოქმედებას: ოკუპაცია უყო მთელ კორფუს არხიპელაგს.

— იაპონიის აზრით „ერთა ლიგას“ არ ექნება დიდი მნიშვნელობა, ვიდრე მასში არ შევლენ ამერიკა, გერმანია და რუსეთი.

— საბერძნეთში რევოლიუციის საშიშროება იზრდება.

— იაპონიაში დიდი სასურსათო კრიზისია.

— ვულკანების ამოხეთქა გრძელდება.

— იოკაჰამაში გემების ასაშენებელი ქარხანა და დოკები დაინგრა.

— მიწის ძვრის რაიონი იყო 500,000 კვ. კილომეტრი. ამ სივრცეზედ დაინგრა ქალაქებისა და სოფლების 70 პროც..

— ოკეანის გემები დაიღუპა.

— პოლონეთის მიერ ფინანსებ ს რეფორმის გასატარებლად მიწვეულ იქმნა გინტონ იუნგი.

— ირლანდიაში მთავრობის ჯარსა და აჯანყებულთ მოუხდათ შეტაკება.

— პოლონეთმა მუსოლინი დაასაჩუქრა თეთრი არწივის ორდენით.

— პარიზის ბირჟაზე რუსეთის ფულის ნიშნების ფასი იწევს.

— იტალიამ დაიჭირა კუნძული პაკსოსი და ემზადება სხვების დასაჭერად.

— კონფლიქტი ახალ მიმართულებას იღებს.

— კომინტერნი და პროფინტერნი 10 სექტემბრისათვის იწვევენ შეერთებულ კონფერენციას.

## ისტორიული საქმის წლის თავი

(ზემო-ავჭალის ჰიდროსადგური).

ზემო-ავჭალაში აგებული სოფელი კვირას, 9 ენკენისთვეს, დღესასწაულობს წლის თავს. შარშან ტფილისის სამი ათასმა მუშამ ბარით, წერაქვით, თოხით პირველად შეანძრია ზემო-ავჭალის მიდამოთა ქვეადაგი, რაიცა საფუძველი შეიქმნა ჰიდროელექტრონული სადგურის აგების საქმეში.

მართალია, გასული წლის 9—10 ენკენისთვიდან არ დაწყებულა ხსენებული ისტორიული საქმე. პრაქტიკულად ელსადგურს საფუძველი ჩაეყარა 1922 წლის 26 მაისს, როცა საამისოდ საგანგებო კომისია იქმნა არჩეული, მაგრამ 9—10 ენკენისთვე დღე, როცა წინასწარ სამზადისიდან, თეორიიდან, პრაქტიკიდან საქმეზე გადავედით.

წელიწადი გავიდა მას შემდეგ. პირდაპირ საოცნებო საქმე დღეს ურყევ საფუძველზე დგას და ყველა მოდის განცვიფრებაში დღევანდელი მუშაობის მდგომარეობით. ამ მუშაობის შესახებ მოკლე ცნობებს ქვემოდ მოვაწვდით მკითხველებს, ეხლა არ შემიძლიან არ აღვნუსხო, რომ ეს საშვილიშვილო საქმე ქალაქმა დაიწყო თითქმის უკაპეიკოდ, როცა საამასოდ მთელი მილიონი ოქრო უნდა ყოფილიყო მზად გადადებული, რომ ძველ მთავრობებს ნება დაერთოთ საქმის დაწყება.

პირველ ენკენისთვისათვის თვით სადგურის საალმშენებლო კომიტეტის, მოკლედ ზაჰესკომის სალაროში შემოსულა გასულ წლის ივლისიდან ჩერვონეცის მანეთებით:

| | |
|---|---|
| ივლისი | 4,700 |
| აგვისტო | 22,488 |
| ენკენისთვ. | 103,250 |
| ოქტომბერი | 5,027 |
| ნოემბერი | 6,035 |
| დეკემბერი | 18,184 |
| იანვარი | 58,328 |
| თებერვალი | 8,675 |
| მარტი | 61,003 |
| აპრილი | 49,522 |
| მაისი | 47,254 |
| ივნისი | 28,349 |
| ივლისი | 159,761 |
| აგვისტო | 38,073 |
| სულ | 610,649. |

ეს ცნობები არ არის სწორი და გამომხატველი ზაჰესკომის ფინანსიური მდგომარეობისა. ეს ცნობები ეხება ტფილისის სალაროს მოძრაობას, რომელსაც უნდა მიემატოს, როგორც რუსეთის მთავრობის მიერ გაღებული თანხები, ისე ის სესხები, რომელიც ჩვენ მივიღეთ ადგილობრივ მთავრობის და დაწესებულებათაგან. ჯერ-ჯერობით კი საქართველოს მთავრობის მიერ საზ. „ჩემო“-ს თანხებიდან ზაჰესკომისათვის გადადებულია ოქროთი:

| | |
|---|---|
| სესხი საქ. მთავრობის მიერ | —600,000 |
| „ ამ.-კავკ. „ „ | —100,000 |
| „ სახალხო ბანკის „ | — 50,000 |
| „ სახელმწ. | — 30,000 |
| „ რუსეთისა | —750,000 |
| სულ | 1,530,000 მ. ოქრ. |

თუ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელი ცხრილიდან უკვე მიღებულ თანხებს და ქალაქის საშუალებებს და დავინახავთ, რომ დღემდე ტფილისის ალმასკომს ჩაუდვია ზემო-ავჭალის სადგურისათვის 1,699,000 მან. ოქროთი, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ჩვენ მივაღწიეთ სამუშაოს მექანიკური მოწყობილების 80-პროც.-ს, ხოლო მიწის მუშაობის 50 პროც. უკვე გაკეთებულია.

ზემოდ აღნუსხული თანხები, რომელიც ჩვენ დავხარჯეთ დღემდე ზემო-ავჭალაში კიდევ არ არის სრული. ჩვენ კიდევ მეტი საშუალება—თანხები გვაქვს სადგურზე მიტანილი. სრული ღირებულება, რომ ვიანგარიშოთ ყოველივე ძვირფასი იარაღის, რომელიც უფასოდ ან მეტად შეღავათიან პირობებში მივიღეთ—ჩვენ არა ნაკლებ 200 ათასიმა ნეთით დაგვჭირდება გადიდება დახარჯულ თანხებისა.

რა მოგველის ჩვენ ფულის მხრივ, ფინანსიურად? გვექნება თუ არა დაბრკოლება?

წელიწადია, რაც მუშაობა გაჩაღებულა. დღეს ათასზე მეტი კაცი მუშაობს ყოველდღიურად, ერთი მეორეზე დღეში 5—8 ათასი მანეთი ოქროთი გამზადებული გვაქვს სადგურისათვის, ჯერ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა მთელი წლის განმავლობაში რაიმე ანგარიში შეგვეჩერებიოს, თუნდაც ერთი საათით.

რასაკვირველია, ეს ერთი წუთითაც და იოტის ოდნავ არ მიეწერება მარტო ზაჰესკომს. არა, საბჭოთა წყობილების ყოველი ორგანო, პარტიული და მთავრობის ორგანოები ფხიზელ დარაჯად უდგანან სადგურის ამშენებლობას და მათი შემწეობით ჩვენ, სადგურის მომუშავენი, პირნათლად ვასრულებთ მოვალეობას და ვზრდით, ვადიდებთ მუშაობას.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჯერ ნახევარი თანხაც არა გვაქვს ხელში, რაც სადგურისათვისაა საჭირო. გვაქვს თუ არა თადარიგი, რომ ფულის მხრივ მუშაობა არ შეგვიჩერდეს?

—გვაქვს.

ამ მოკლე ვადაში საქართველოში უნდა გასაღდეს რუსეთის ოქროს მომგებიანი ობლიგაციები ერთი მილიონი ოქროს მანეთისა. მთელი შემოსავალი ამ ობლიგაციებისა გადადებულია ავჭალის სადგურისათვის. ჯარიმები, კონფისკაცია ქმნილი ნივთები, ტფილისის ალმასკომის მიერ გადადებული თანხები თვეში არა ნაკლები 12 ათასი მანეთისა ოქროთი, განზრახული საქალაქო საობლიგაციო სესხი, მთავრობის დახმარება—სესხის გადიდება „ჩემო“-დან, ამიერ-კავკასიის მთავრობის გრძელვადიანი სესხი, კიდევ მეორე სესხი რუსეთის მთავრობიდან და სხვა და სხვა.—აი ის „რეზერვუარი“, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს სადგურის აღმშენებლობა.

როდის გავათავებთ სადგურის აღმშენებლობას? როდის მოვაწვდით ქალაქის და სოფლის ხალხს იაფ სინათლეს, იაფ სამრეწველ-მამოძრავებელ ძალას, ესე იგი, როდის შევასრულებთ მთელი ქვეყნის ნატვრას?

—ორ წელიწადში!

ჩვენი გენერალური მიზანია 1925 წელში ვიდღესასწაულოთ სადგურის გაშვება, ახალი კულტურის ახალი კოცონის დანთება.

დაწვრილებითი ცნობები ტეხნიკურ მუშაობის დარგიდან წლის თავის გამო დღიურ გაზეთებში იქნება დაბეჭდილი.

ჯერ სადგური არ დაგვიმთავრებია და მისი გავლენა უკვე თვალსაჩინოა ჩვენ ცხოვრებისათვის.

ამ სადგურის თვითაღმშენებლობითი პროცესი აფართოვებს ჩვენს ეკონომიურ პერსპექტივას. რუსულ გაზეთში უკვე იყო ცნობა, რომ ზემოავჭალის სადგურის დამთავრება მოგვიწოდებს საქართველოში კიდევ უფრო გრანდიოზული გეგმების დასახვასაო.

ასეთი გეგმაა საქართველოს წყლის ენერგიით მთელი ბაქოს ფაბრიკა-ქარხნების ამოძრაობა და ამგვარად ნავთის დაზოგვა, მის უფრო საზრიანად გამოყენება. დღეს ბაქოს სჭირია 20 ათასი ცხენის ძალა, როცა საქართველოს მოეპოვება 2 ნახ. მილიონი ცხენის ძალა, საქართველოს წყალს შეუძლია რევოლიუციის მოხდენა არა მარტო საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ ნავთის მრეწველობაშიაც. ჩვენ ნავთს კი არ უნდა ვწვავდეთ, არამედ საამისო—ძალას წყლიდან უნდა ვიღებდეთ. აი საითაა ჩვენი ეკონომიური პერსპექტივა მიმართული!

რა თქმა უნდა ეს უფრო შორეული საკითხია, რომელიც იმდენად გვიახლოვდება, რამდენადაც შრომის ხელფასი იზრდება და ნავთიანი ადგილები ლატაკდებიან.

მაგრამ ეს სადგური კიდევ უფრო ახლობელ მომავლისათვის გვამხნევებს—კიდევ ახალ საალმშენებლო საქმეებისათვის და მოგვიწოდებს ახალ-ახალ ქარხნების მოწყობისაკენ.

ასეთი ქარხანა—ცემენტის ქარხანაა. ამ ქარხანას აქვს კვლავ დიდი ისტორიული მნიშვნელობა, ამის შესახებ მოვილაპარაკებთ მორიგ ნომერში, აქ კი არ შემიძლიან არ აღვნუსხო, რომ წლის მუშაობამ ჩვენ მეტად გაგვამაგრა, იმედები აღგვიძრა, საეკონომიო პერსპექტივა გაგვიშალა და მეურნეობრივ შემოქმედებისაკენ წაგვიყვანა.

დეე მეორე საალმშენებლო წელმა ჩვენი ეს მიმართულება კიდევ უფრო გააღრმაოს და გააძლიეროს,

თედო ღლონტი

## სინათლე იქნება

(„ზაჰესის“ წლისთვისთვის).

ისტორიული ცნობები ტფილისის მაზრის ელექტროფიკაციის შესახებ ამბობს, რომ 15 წელიწადზე მეტია, რაც სწარმოებდა ამ კითხვის განხილვა და მის გარშემო მსჯელობა სხვა და სხვა მხრით და საზრისით.

მაშასადამე ის დასმული იყო განსვენებულ „მეფის რეჟიმის“ დროსაც, როდესაც ამ საკითხით მეტად დაინტერესებული იყო ტფილისის თვითმართველობა.

„გამოკვლეული“ იყო ეს საქმე კიდევ განსვენებულ მენშევიკების დროსაც ტფილისის თვითმართველობის და საქართველოს ქალაქთა კავშირის მიერ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ელექტროფიკაციის კითხვა პოულობს რეალურ გარდაწყვეტას.

მახსენდება როგორი გაცხოველებული კამათი სწარმოებდა ამ კითხვის შესახებ ტფილისის აღმასკომში ინჟინერებისაგან და სპეციალისტებისაგან შემდგარ განსაკუთრებული კომისიის მოხსენების შემდეგ. იქაც აღმოჩნდა ორი „თვალსაზრისი“, მაგრამ უმთავრესად კამათი სწარმოებდა ორ ძირითად ვარიანტის გარშემო პირველნი მოითხოვდნენ ცენტრალური თბოთითიელსადგურის გადაკეთებას ორი ორთქლის ბრუნაროს დადგმით, სხვები ჰიდრო ელსადგურის აგებას თეთრი ნახშირის გამოყენებით. აღმასკომი ამ საქმიანი კითხვის განხილვის დროს პირველად გაიყო ორ მებრძოლ „ფრაქციათ“ („მეორთქლბრუნარებათ“) და ჰუდრო ტეხნიკოსებად.

პირველი ვარიანტი ჯდებოდა თითქოს უფრო იაფად და მისი აგება შეიძლებოდა ადრე, მეორე—კი მოითხოვდა დიდ დროს და საშუალებას... და დიდი უმრავლესობა მიემხრო მეორე ვარიანტს. ამ ისტორიულ სხდომაზე საკითხი გადაწყდა. აქ იყო პირველი **გამარჯვების მიღება.**

ტფილისის აღმასკომმა, რომელსაც არ შეუძლია, რასაკვირელია, დაიკვეხნოს რომ მისი ჯიბეები სკდება ოქროსაგან, მაინც დაადგინა აგება ზემო ავჭალის ჰიდრო ელსადგურისა, რომელიც დაჯდება არა ნაკლები ოთხი მილიონი ოქროს მანეთისა.

ტფილისის აღმასკომი წავიდა ამ დიდ საქმეზე მრავალ ურწმუნოს წინააღმდეგ, გაიხსენა რა რომ, კომუნიზმი ეს საბჭოთა ხელისუფლებაა პლუს ელექტროფიკაცია; და კიდევ იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ ტფილისი რამდენიმე ხნის შემდეგ მოქცეულიყო წყვდიადში, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების ბუნება ისეთია, რომ ვერ ითმენს წყვდიადს და შეუჩერებლივ მიექანება სინათლისაკენ.

და ეს საქმე იქნა დაწყებული...

ტფილისის პროლეტარიატმა ტფილისის აღმასკომის რამდენიმე ხნის შემდეგ დაამტკიცა, რომ ჰიდრო ელსადგურის აგება—ეს მისი საქმეა.

სწორეთ ერთი წლის წინად კომპარტიის ტფილისის კომიტეტის პირველ გამოძახილზე 4000 კაცზე მეტი გაემგზავრა კვირეულზე. დიდი აღფრთოვანებით და ფხიზელი ენერგიით ხალხის ეს მასა შეიარაღებულ წერაქვებით და ნიჩბებით თხრიდა არხს, მუშაობდა გულმოდგინეთ, რასაც ამტკიცებდა

მხიარული სიმღერა და სჭეზე ჩამომავალი ოფლი, რომელიც უხვად რწყავდა მიწას—ჩვენი მომავალი ელექტროფიკაციის საძირკველს.

პირველი ქვები დაწყობილი იქნა ტფილისის მუშების ხელით.

ეს იყო **ჩვენი მეორე გამარჯვება.**

მესამე გამარჯვება კი წინ გვაქს.

სადგურის ასაშენებლად საჭიროა სამი წელიწადი. გავიდა ერთი და გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ უკვე შესრულებულია სამუშაოს ერთ მესამედზე მეტი, დარჩა კიდევ წინ ორი წელიწადი და სამუშაოს ორი მესამედის შესასრულებლად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიისა და საბჭოთა ყველა ორგანოს გამოუცვლელ მხარის დაჭერით, ყველა მშრომელის ენერგიის დაჭიმვით 1925 წელს დასრულებული იქნება ტფილისის ალმასკომის მიერ დაწყებული დიდი საქმე.

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგური იქნება აგებული ამ დროისთვის, ის იქნება მზად.

და სინათლეც იქნება...

**მიხ. კახიანი.**

# ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აღშენებლობის წლის თ'ვი.

სწორეთ ერთის წლის წინად, კვირას, 9 სექტემბერს, 1922 წ. ტფილისის მუშათა კლასის წარმომადგენლებმა საბჭოთა ხელის-უფლების და კომუნისტური პარტიის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა მეთაურობით, ჩაუყარეს საძირკველი ზემო-ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონის სტადგურის აღშენებლობას. რამოდენიმე ათასის ბარისა და წერაქვის დაკვრით იქმნა აღნიშნული მიმართულება ამ სადგურის წყალ-სადენის არხისა.

ამ დღეს მტკიცედ გადაწყდა, რომ უეჭველად დამთავრებულ იქმნეს დიდებული და გრანდიოზული საქმე, რომელსაც ექმნება უაღრესი მნიშვნელობა არა თუ მარტო ტფილისისა და საქართველოს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში. ამიტომ დღევანდელ დღეს საჭიროა ითქვას რამოდენიმე სიტყვა მაზედ, თუ რას წარმოადგენს ამ ჟამად ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური, რა არის უკვე გაკეთებული და შესრულებული.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურს მიზნად აქვს დასახული ელექტროფიკაცია ქ. ტფილისისა და მისი რაიონისა, ე. ი. მიწოდება ელექტრონის ენერგიისა ქალაქის გასანათებლად და ყველა არსებულ მანქანების ასამოძრავებლად. იგივე ელექტრონის ენერგია ამოძრავებს ქალაქის ტრამვაის ვაგონებს და ყველა მანქანებს სამრეწველო ქარხნებში, ავჭალის ენერგია აამუშავებს ქალაქის წყალ-სადენის მანქანებსაც. ხოლო შემდეგში ეს ენერგია გამოყენებული იქნება სახლების გასათბობათაც და საჭმლის მოხარშვისთვისაც. რომ უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ უაღრესი მნიშვნელობა ზემო-ავჭალის სადგურისა, უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ქ. ტფილისში მსოფლიო ომის დაწყებამდე არსებობდა 44 ცენტრალური ელექტრონული სადგური, რომელთა საერთო ძალა უდრიდა 9490 ცხენის ღონეს; იყო დადგმული 150 მანქანა, რომელსაც ემსახურებოდა 200 კაცი.

გარდა ამისა 82 სამრეწველო ქარხანაში იყო მუშაობაში 150 ნავთის მოტორი და ორთქლის მანქანები, რომელთა საერთო ძალა უდრიდა 3605 ცხ. ღონეს. მოსამსახურეთა შტატი შედგებოდა 160 კაცისაგან.

ეხლა ჟამთა ვითარების გამო ყველა ეს მანქანები დაძველდენ, გაცვდენ და მათი ძალა ძლივსლა უდრის 3500 ცხ. ღონეს. ყველა ეს მანქანები თხოულობენ შეკეთებას, გამოცვლას თუ არა და ისინი შეაჩერებენ თავის მუშაობას, რის გამოც შეჩერდება ქალაქის მთელი მეურნეობა.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგური მთლად შესცვლის სურათს. ნაცვლად 300 ცალკე მანქანისა, რომლებიც მოთავსებულია 120 სხვა და სხვა სახლში და რომელიც ხმარობს 360 მუშას, ავჭალის სადგური აამუშავებს მხოლოდ სამს წყლის ტურბინას, რომელიც იქნება საუკეთესოდ მოწყობილი და მოითხოვს მომუშავე ხელს მხოლოდ 20 კაცისას, ნაცვლად დღევანდელის 360 კაცისა.

იმის წყალობით, რომ ენერგიის დამუშავება იქმნება მოქცეული ერთს ცენტრში, იგი აღარ დაიფანტება, როგორც ეს ხდება დღეს. ძალიან შემცირდება საექსპლოტაციო ხარჯები და მაშასადამე ელექტრონის ენერგიაც გაიაფდება. ხოლო ყველაზე უმთავრესი ის არის, რომ აწ არსებული ტფილისში მანქანები მოდიან მოძრაობაში სითბოთი: ან ნავთის მოტორებით, ან ორთქლის მანქანებით, რომელთაც სჭირდება ნავთი ან ქვა-ნახშირი, ზემო-ავჭალის ელექტრონის სადგურს არ სჭირია ესენი. მას მოძრაობაში მოიყვანს მტკვრის წყლის დენის ენერგია. ეს ენერგია-კი დაუშრეტელი და სამუდამოა. ის არ დაიშრიტება, ვიდრე არსებობს დედამიწა და ათბობს მას მზე. წყლის წყალობით აღარ იქმნება ხარჯვა იმ აუარებელ ნავთისა და ქვა-ნახშირისა, რომელიც დღეს იხარჯება.

თუ რა დიად როლს ითამაშებს ავჭალის სადგური სათბობ მასალის ეკონომიაში სჩანს შემდეგი ციფრებიდან: რკინის გზის სამართველოს ცნობით ქ. ტფილისში შემოსულა 1915 წელს:

| | | |
|---|---|---|
| ნავთი და მაზუთი | 1.764.904 | ფუთი. |
| გამოხდილი ნავთი (კეროსინი) | 594,950 | „ |
| ქვა-ნახშირი | 573,488 | „ |

ეს ციფრები, რომ შევამოკლოთ 25 პროცენტით, რომელიც უნდა ვიანგარიშოთ ტფილისიდან სოფლად გასულად, დაგვრჩება ის ნაშთი, რომლის დახარჯვას აგვაცილებს ავჭალის სადგური.

ის ეკონომია სათბობ მასალაში, რომელსაც მოგვიტანს ელექტრონის სადგური, ფულზე გადატანილი უდრის 1,716,000 მანათს ოქროთი წელიწადში.

პირველ ხანებში ავჭალის სადგური აამუშავებს ძალას 18,000 ცხ. ღ., რითაც სათბობ მასალის ეკონომია გაორკეცდება. ხოლო როცა შემდეგში სადგური აამუშავებს ძალას, რომელიც უდრის 37,000 ცხ. ძალ., ეკონომია სათბობ მასალისა თითქმის ოთხჯერ მეტი იქმნება და უდრის 6,500,000 მანათს ოქროთი წელიწადში.

ახლა რომ მივიღოთ მხედველობაში, რომ ბაქოში 1881 წელს ნავთის სათბობი მასალა ღირდა 1 კაპ. ფუთი და ზოგჯერ ნახევარ კაპ., ხოლო შემდეგ 33 წლის განმავლობაში ეს ფასი სულ იზრდებოდა და 1914 წ. ავიდა 40 კაპ. ეს გამუდმებული ზრდა ნავთის სათბობ მასალის ფასისა არის დაკავშირებული ბაქოში ნავთის მრეწველობის პირობებთან, რომ ბაქოს ნავთის წარმოება თანდითან მცირდება, რის გამოც ფასები იწევენ და მომავალში უფრო აიწევენ. აქედან ცხადია, რა ძვირფასი იქნება ის ეკონომია, რომელსაც გვიქადის ჩვენ ავჭალის სადგური.

დღეს მთელი მსოფლიო განიცდის სათბობ მასალის კრიზისს. ეს კრიზისი უფრო და უფრო იზრდება, რადგან სათბობ მასალის როლი თან და თან იზრდება სამრეწველო და სამეურნეო ცხოვრებაში. დღეს ამ მასალის რაოდენობით გაიზომება თვითეულ სახელმწიფოს ძლიერება და ქიშპობა სახელმწიფოთა შორის, ამ მასალის შესაძენად ღებულობს უფრო და უფრო მკაცრ ხასიათს. დიდ სახელმწიფოების პოლიტიკაც კი ტრიალებს ამ ეკონომიურ ღერძზედ. ყველა ეს რომ გავითვალისწინოთ, ზემო-ავჭალის სადგურის მნიშვნელობა განუზომელი იქნება როგორც საქართველოსთვის, ისე მთელი ამიერ-კავკასიისთვის.

ასეთია საერთო მოსაზრებანი ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მნიშვნელობაზე, რომელთა შეგნებამ ტფილისის ალმასკომს აკისრებინა თავს ედო ასეთი დიადი საქმე.

ამ ჟამად გაკეთებულია უკვე ბევრი რამ: წყალსადენ არხის მიმართულებაზედ უკვე ამოღებულია 20,000 კუბი მიწა, გაკეთებულია პაწია ხევზე ბეტონის მილი, რომელიც ააცილებს არხს ნიაღვარს, დასრულებულია უმთავრესი წინასწარი მუშაობა, აშენებულია უკვე სახლები მუშებისთვის და მოსამსახურეებისთვის, გამართულია საწყობები, ბარაკები, პურის საცხობები. 30-მდის სახლია აშენებული. გამართულია წყალსადენი, რომელიც აწვდის მუშებს არაგვიდან წმინდა სასმელ წყალს, არის გამართული დროებით სახმარებელი ელექტრონის სადგური, მექანიკური სახელოსნო, სამჭედური და მრავალი სხვა მოწყობილობა, რომელიც სჭირდება მომავალ სადგურს.

ასეთია მოკლე ისტორია იმისი, თუ რა გაკეთდა უკვე იმ დიდებული საქმის დასაგვირგვინებლად, რომელსაც მოჰყვება ელექტროფიკაცია ტფილისისა. დღევანდელ პირობებში ამაზედ მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო.

მომავალში უფრო მეტი საქმიანობა მოგველის, ხოლო შეგნება იმ დიად მნიშვნელობისა, რომელიც ექნება ჩვენის ქვეყნისთვის ზემო-ავჭალის სადგურს, გვაიმედებს, რომ ვერავითარი დაბრკოლება ველარ შეაჩერებს დაწყებულ საქმეს.

ინჟინერი **მელიქ-ფაშაევი.**

# რადიო-დეპეშები

## ზაკროსტას ცნობები 8 სექტემბრიდან

**იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი.**

ერთა ლიგის უძლურება კონფლიქტის საკითხში მეტად აწუხებს ლიგის მომხრე სოციალ-რადიკალებს. სცდილობენ იხსნან ლიგის პრესტიჟი და უსაყვედურებენ საფრანგეთს, რომ იგი მხარს უჭერს მუსოლინის პოლიტიკას. ფიქრობენ, რომ კონფლიქტის გადაწყვეტას მიანდობენ ელჩთა კონფერენციას. პარიზის გაზეთებს აცნობებენ ლიგის კრიზისის შესახებ, რადგანაც მცირე სახელმწიფონი იმუქრებიან ლიგიდან გამოსვლით, თუ იგი არ იკისრებს კონფლიქტის გადაწყვეტას.

ლონდონიდან მოსულ ცნობებით ინგლისი ემზადება კორფუ'ს წინ საერთაშორისო საზღვაო დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

მონრეალში სტატს-სეკრეტარმა იუზმა განაცხადა, რომ ომის საჭიროება ვერ იქნება აცილებული ისეთი ორგანოს მიერ, როგორც არის ერთა ლიგა.

ერთა ლიგის სხდომაზედ იაპონიის დელეგატმა იშიმმა განაცხადა, ერთა ლიგას ვერ ექნება დიდი მნიშვნელობა, ვიდრე მასში არ შევლენ ამერიკა, გერმანია, რუსეთი და მცირე სახელმწიფოებიო.

# უწინდელი და აწინდელი

## (წარსულის და აწმყოს სურათები)

### II

### წ ი ნ ა დ

„გოგო, მარიკო!.. შე არდასაცალებელო!.. დახედე ერთი ამ აშარს, უნამუსოს... ყელი ამომეხლანწა მისი ძახილით და კი არსადა სჩანს!.. მარიკო! მარიკო!“ გაჰკივის გაბრაზებული, მიუხედავად შუადღისა ჯერ კიდევ ლოგინში მწოლარე ქვრივი კნეინა ბაბალე შავიძისა. წუხელის სტუმრები გვიან დაიშალნენ, ვახშამი ნაშუალამევის ორ საათზე ძლივ დასრულდა, კნეინამ ცოტა ღვინოს უმატა, ახლა „პროფერანსშიაც“ ორ მანეთამდე წააგო, ცუდათ ეძინა, გუნებაზე ვერ იყო. ნერვებ მოშლილი, პირში თითქოს ქინაქინა ჩაუყრიათო, მოპრუწული, მუდამ მუქი წითელფერად შეღებილი ტუჩები, ეხლა როგორღაც გადახმოდა და დასკდომოდა, სახე დანაოჭებული იმდენად, რომ თითქოს ტუჩების გვერდით ბატის ჩლიქები მიუკრავთო, ერთი სიტყვით კოპწია გამოპრანჭულ, მოხდენილს და სახე გალაპლაპებულს კნეინა ბაბალეს ეხლა ამ სახით ვერავინ იცნობდა.

ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა კნეინა და ის საძაგელი მარიკო მისი მოახლე გოგო, ანუ „გორნიჩნა“ როგორც სტუმარი, მეგობრებში უძახიდა კნეინა, უფრო აბრაზებდა და აანჩხლებდა ნერვებ აშლილ კნეინას.

„გოგო, მარიკო! აგრემც გაგიწყდება სახელი და სახსენებელი“! ერთი კიდევ შეჰკივლა კნეინამ.

ამ დროს კი მარიკო ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგო დაფლეთილ-დაგლეჯილი კაბით, ფეხშიშველი, ვეებერთელა კოკით ზურგს წამოკიდებული წყაროდან აღმართით ამოდიოდა შინისკენ მომავალი. ბედშავი ბავშვი ძლივსლა ქშინავდა მძიმე კოკის ქვეშ, თან ჩქარობდა, ვაი თუ კნეინამ გამოიღვიძა და მეძახისო, იცოდა თუ რა დღე დაადგებოდა, მაგრამ როგორ უნდა მოესწრო? წუხელის ნატამალი არა სძინებია: მთელი ღამე ფეხზე ტრიალებდა სტუმრებს ემსახურებოდა. დაიშალნენ სტუმრები, ღამის სამი საათი იყო კნეინამ მოისვენა და მარიკო კი აუარებელ ჰურჭელ-ქვაბების რეცხვა-წმენდას შეუდგა, ის იყო და გათენებამაც მოატანა, მარიკომ ეს საქმე დაამთავრა, ახლა კიდევ აქოთებულ ოთახების წმენდა-დალაგება, ამანაც ერთ საათს მეტს გასტანა. ცოტა ხანს წასთვლიმა, თვალი მოატყუა, ახლა რძისათვის გაიქცა მეზობლიანთას, თორემ თუ დააგვიანებდა რძეს ველარ იშოვნიდა და ვაი მის დღეს.

მანამ მოწველიდნენ, მანამ ჩაუ'ხამდნენ და გაოსტუმრებდნენ კიდევ დრომ გასტანა. დაბრუნდა, ახლა ცეცხლი გააჩაღა „სამოვრისათვის“. კნეინა ჩაის ლოგინში მწოლარე, პირდაუბანელი მიირთმევდა და რა წამს გაახელდა თვალებს, ცხელ-ცხელი რძიანი ჩაი უნდა მირთმეოდა.

დადგა სამოვარი და ეხლა წყლის ზიდვას შეუდგა, წყარო კი სოფელს კარგა მოშორებული, თითქმის ნახევარ ვერსის მანძილზე იყო. უკვე მეოთხე გზა მოჰქონდა მარიკოს. დღეს შაბათია და კნეინა ჩვეულებისამებრ ალბად ტანს დაიბანს. მარიკომ უნდა მოასწროს და წყალი გააცხელოს. კნეინა რა წამს ჩაის მიირთმევს უმალ „ვანას“ მოითხოვს.

ასე და ამ რიგად მარიკო, ობოლი გოგო, „სამადლოდ“ აყვანილი პატარაობიდანვე ჩაბმულია აუტანელ შრომაში. არც დასვენება, არც უქმე დღე, არც დროზე ჭამა-სმა, ძილი, მუდამ გინება, დამცირება, ხშირად ცემა-ტყეპა და მუდმივი მუჯლუგუნები. რაც თავი ახსოვს ერთი ტკბილი სიტყვა არ გაუგონია. ალერსი?.. აი სამზარეულოში პატარა ფისუნა ჰყავს, ის თუ როდისმე წაუალერსებს, თორემ სხვა ხორციელი ქმნილება მას ალერსით არ მიჰკარებია არას დროს. ნახევრად ტანშიშველი, ვეებერთელა გოგოს რცხვენოდა კიდეც ხალხში გავლა, მუდამ ფეხშიშველი, სუსხიან ზამთარშიაც კი, მარიკო ისე შეეჩვია ასეთ ცხოვრებას, რომ სხვაგვარი ვერც კი წარმოედგინა.

ნახევარზე მშიერი, უძილო, აუტანელ მუდმივ მუშაობაში მყოფი, ზამთარში ნახევრად შიშველი, მარიკო მაინც ყვავის და იშლება ვით მაისის ვარდი. მოხდენილი და ლამაზი გოგონაა, კარგი ტანისა, დარგვალებული, გაწყობილი სახით და ჟუჟუნა თვალებით, გძელი გიშრის ფერი თმა, ლამაზად მოყვანილი ქალწულის უკვე დასრულებული მკერდი არა ერთი ჭაბუკის თვალს იპყრობს. ხშირად სმენია წყაროზე მიმავალ ან იქიდან მომავალს მარიკოს, სხვაგან ხომ არსად უშვებდა მას კნეინა, ჭაბუკის აღტაცებული: „ვიჰ! შენი გულისა“! ან კიდევ მხოლოდ მძიმე ამოხვრა, რაშიაც უფრო ძლიერი აღტაცება ამოქროდა. დალაპარაკებას ან და რაიმე უწმაწურ სიტყვას ვინ გაუბედავდა მარიკოს. მეტად მორიდებულს და მორცხვს მარიკოს ისე უჭირავს თავი და ისე იქცევა, რომ აზრადაც არავის მოუვა მისი შეურაცყოფა. უკვირთ კიდეც სოფლელებს: „ე, გოგო ისეთ ოჯახში ტრიალებს, რის მნახველი არ არის და ხედავ როგორ პატიოსნად და ფაქიზად ინახავს თავს“-ო. მართლადაც ამ შემთხვევაში მარიკოს წუნის ბეწვსაც კი ვერავინ დასდებდა...

მიუახლოვდა მარიკო ბინას და მოესმა კიდეც კნეინას კივილი: „მარიკო! მარიკო! შე არდასაცალებელო“!..

მარიკო უმალ შეიჭრა სამზარეულოში, დადგა კოკა და შევარდა ოთახში კნეინასთან.

„შე უნამუსო, ბიჭბუჭებში გაერთე განა, მე აქ ერთი საათია ვყვირი, გეძახი, ყელი ამომეხლანწა და შენ კი კრინტს არა სძრამ“...

—„წყაროზე გახდი ქალბატონო“... მოწიწებით მოახსენა მარიკომ...

„ჩაი?“ გააწყვეტინა ქალბატონმა.

—„მზად გახლამთ... მოგართო?...“ შეეკითხა მარიკო...

„მაშ რა? არ იცი?. დასწყევლა ღმერთმა, ვერ იქნა ვერ ისწავლა თავის მოვალეობა ამ უნამუსომ“ გაწყრა კვლავ ბაბალე...

მარიკო გაქანდა და მოართვა ცხელ-ცხელი რძიანი ჩაი. კნეინამ ცოტა შესვა და უცებ მოიქნია ფინჯანი, თითქოს მდუღარე ჩაი მარიკოს უნდა მიასხასო.

„შე აშარო, ვირო, არ იცი რომ ცივი ჩაი მეჯავრება!..

—„ქალბატონო, თქვენმა მზემ მდუღარე სამოვრიდან დავასხი, რძეც ეს ეს არის ცეცხლიდან გადმოვსდგი“., ეფიცებოდა მარიკო...

მაგრამ ასეთი სცენები ხომ მუდამ დღე მეორდებოდა: ხან „ჩაი ცივია“, ხან „ფინჯანი ლამბაქზე სწორედ არა სდგას“, „ხან ლამბაქზე დასხმულია“... და სხვა, ერთი სიტყვით კნეინა მუდამ დილა ცუდ გუნებაზე იყო და რასაკვირველია ბრალი ამაში მარიკოს ედებოდა.

ყოველ ღამე მსუქანი ვახშამი ზედ მეტი ღვინის დასხმით, ხშირად კარტში წაგებული ფული, დილით თავის ტკივილი, სახის დანაოჭება, მთელი სხეულის მოდუნება... აი ნამდვილი მიზეზი, მაგრამ „ვაი“ მაინც მარიკოს...

„მერე, რაღას გაშტერებულხარ? არ იცი რა უნდა ჰქნა?. აი სამუდამოდ გაგაშტეროს უფალმა... ჩულქი“... შეჰკივლა კვლავ კნეინამ და გაუშვირა ჩასუქებული შიშველი ფეხი. მარიკომ სტაცა ხელი ჩულქს და დაუწყო ჩაცმა. „უ, ტა, ტა, ტა!“ შეჰკივლა კნეინამ და ფეხი მიარტყა მარიკოს ცხვირში: „შე უნამუსო, რა ცივი ხელები გაქვს?“—„ქალბატონო, წყაროზე გახლდი და“... „წყარო შენა და დარდუბალა! მერე ცეცხლზე ვერ გაითბე?...

შენმა თავის გახეთქამ თუ გავცივდი, შენ მიწამლებ, არა? გაეხირე გაითბე ხელები!“.. გააგდო კნეინამ მარიკო, მაგრამ მარიკომ ვერც კი მოასწრო ცეცხლთან მისვლა, რომ უკვე მოესმა: „ჰა, მოკვდი მანდ, აშარო?“.

დაბრუნდა მარიკო და კვლავ შეუდგა კნეინის ჩაცმა დახურვას. ერთხელ კიდევ უმუხთლა ბედმა ბედშავ გოგოს. კნეინა წელში ცოტა დასრულებული იყო და იუპკა ქინძისთავით უნდა დაემაგრებინა მარიკოს და აი სწორედ ამ დამაგრებაში უცბად ცოტა წასჩხვლიტა ქალბატონს.

„გაგიხმეს ეგ ხელები“, შეჰკივლა კნეინამ და იდაყვით ისე წაჰკრა ცხვირში გოგოს, რომ მარიკო წაბარბაცდა და კინაღამ დაეცა: „შე უნამუსო, შენა, რა ღმერთი გაგიწყრა დღეს?...

ასე და ამ რიგად ხდებოდა მუდამ დილით კნეინას ჩაცმა დახურვა. ძლივს რის ყოფნით დამთავრდებოდა მარიკოს ეს საშინელი ტანჯვა და დაიწყებოდა ახალი. ოთახები ასე არ არის დალაგებული, როგორც კნეინასა სურს, ავეჯი თავის ალაგას არა სდგას და სხვა... ყველაფერი მუდამ ერთნაირად ლაგდებოდა და მარიკოს ისე ჰქონდა შესწავლილი ყოველი ნივთის ადგილი, რომ რა თქმა უნდა არ შესცდებოდა და არც სცდებოდა, მაგრამ... მაგრამ მაინც მუდამ დღე კნეინა სტუქსავდა და აწამებდა... ბედშავი გოგო უკვე მთელი ექვსი წელიწადი ამ საშინელ ტანჯვაში მშობლები ადრე დაეხოცნენ სულ შვიდი რვა წლისა იყო რომ დაობლდა, დარჩა მამიდის ანაბარად. მამიდას თავად დიდი ოჯახი აწვა და მისი ქმარიც წინააღმდეგი იყო სხვისა ობლის შენახვისა. გაიგო მარიკოს მამიდამ: კნეინა შავიძისას ხელზე მოსამსახურე გოგო სჭირდებაო, მიჰგვარა ბოვშვი კნეინა ბაბალეს და უთხრა: „აი შენი ჭირიმე, იმსახურე, გინდა აცოცხლე გინდა მოკალიო, როგორც გენებოს ისე მოიხმარე“-ო... მარიკო გახდა მოახლეთ კნეინა ბაბალესი და მოსვლის უმალ ჩააბეს მძიმე და აუტანელ მუშაობაში. ჯამაგირის შესახებ კრინტს ვინ დასძრავდა, მიუხედავად იმისა, რომ ბაბალე დაჰპირდა მარიკოს მამიდას: „ორი წელიწადი კი ისე ვიმსახურებ, აბა ეხლა რაში უნდა მივცე ჯამაგირიო და ორი წლის შემდეგ კი ჯამაგირი მიეცემაო; ჩავაცმევ, დავხურავ, შევინახავ, დრო მოვა, გავათხოვებ და მზითევსაც, რაც წესია მივცემო“... მაგრამ გავიდა უკვე ექვსი წელიწადი და მარიკოს გროში კაპეიკი ჯამაგირი თვალითაც არ უნახავს. ჩაცმა დახურვა კი... ნახევარზე ტიტველ შიშველ მარიკოს სირცხვილით თავი გარედ ვერ გამოეყო, ათასში ერთხელ თუ მოიღებდა კნეინა მადლს თავის ნაცვამს ძველ კაბას, ნახევრად დაგლეჯილს თუ უწყალობებდა მარიკოს... მარიკოს მამიდა მალე გარდაიცვალა და მის ქმარს კი მარიკოს ბედი სრულებით არ აინტერესებდა და იყო მარიკო ასე უპატრონოდ საშინელ ტანჯვაში ჩაგდებული. საცოდავ გოგოს პურის ჭამისათვისაც კი არ ეცალა, დილის ექვსი საათიდან ხშირად ღამის ორ-სამ საათამდე სულ ფეხზე ტრიალებდა. მხოლოდ იშვიათი ჯანსაღი სხეულის პატრონს შეეძლო ასეთი შრომის ატანა.

ი. **გედევანიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

# ამონაკვნესი

ამას ამბობდა პარსეთში ქართველი:
— რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ,—მე არ გავხდები პარსელი.
მახსომს, რო მე ვარ ქართველი,
მით მიყვარს ქართველთ სახელი!..

სეიფ. იოსელიანი.

# განცხადება

საქ. მემარცხ. სოც.-ფედერ. სარევოლიუციო პარტიის **ბათომის საოლქო კომიტეტი** ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 15 ივლისამდე გაცემული ყველა მანდატები ითვლება **გაუქმებულათ.**

ამხანაგებს ვსთხოვთ გამოცხადდენ ახალი მანდატების მისაღებათ კომიტეტის ბინაზე, მიხეილის ქუჩა № 40, სალამოს 5—6 ს-დე **ამა წლის 10 სექტემბრამდე.** ვინც არ გამოცხადდება, ამორიცხული იქნება ორგანიზაციის წევრობიდან.

5—5

კომიტეტის მდივანი: **ერ. ხუპატაშვილი.**

ლონდონიდან ბერლინში მიღებულ ოფიციალურ ცნობებით ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდნენ როგორი წინადადება შეიტანონ ერთა ლიგაში კონფლიქტის შესახებ. ფიქრობენ, რომ წინადადება იქნება მიენდოს ელჩთა კონფერენციას …რმოოს მკვლელობის შესახებ კვლევა-ძიება და შეიმუშაოს კორფუს ევაკუაციის გეგმა. ფიქრობენ იმასაც, რომ იტალია ასეთს კომპრომისზედ არ წავა, რასაც შეიძლება მოჰყვეს საქმის გართულება.

პარიზიდან მოსულ ცნობით ელჩთა კონფერენციას გამოუტანია შემდეგი დადგენილება: 1) საბერძნეთი იღებს თავის თავზედ ყველა რეპარაციას, რომელსაც კი საჭიროდ დაინახავს ელჩთა კონფერენცია. 2) არსდება საგამომძიებლო კომისია შემდგარი 3 წარმომადგენლისაგან იმ სახელმწიფოთაგან, რომელნიც წარმოდგენილი იყვნენ საბერძნეთ-ალბანეთის საზღვრების გამმიჯნავ კომისიაში. 3) შეუდგეს ამ დადგენილების ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარებას. ეს დადგენილება ეცნობა ერთა ლიგას.

ერთა ლიგის მიერ კონფლიქტის განხილვის შემდეგ ერთი დღით გადადებას რომში იტალიის გამარჯვებად სთვლიან და აწერენ იმ გავლენას, რომელიც მოახდინა მუსოლინის განცხადებამ ლიგიდან გამოსვლის შესახებ. რომში ფიქრობენ, რომ გამოინახება გზა კონფლიქტის მშვიდობიანად გადასაწყვეტად.

მუსოლინი ყურადღებას არ აქცევს საერთაშორისო მოლაპარაკებებს ჟენევაში და პარიზში და განაგრძობს თავის პროგრამის შესრულებას: ოკუპაცია უყო მთელ კორფუს არქიპელაგს; იტალიის ჯარი გადმოსხდა მეორე—ხარისხოვან კუნძულებზედ, მათ შორის კუნძულ სამოფრაკზედაც.

იტალიის კონფლიქტს სამხრეთ-სლავიასთან ფიუმეს საკითხის გამო ლონდონში არა ნაკლებ მნიშვნელოვნად სთვლიან.

საბერძნეთში რევოლიუციის საშიშროება თანდათან იზრდება, საბერძნეთის ხალხის კონფლიქტში გულგატეხილობის გამო. რევოლიუციონერები ენერგიულ აგიტაციას ეწევიან და გავლენას ახდენენ არმიასა და ფლოტზე. მათზე დაყრდნობა მთავრობას უკვე აღარ შეუძლია.

იტალიის წარმომადგენლის განცხადებით ჟენევაში კონფლიქტის სიმწვავემ განვლო. მოხდა გარდატეხა იტალიის სასარგებლოდ.

6 სექტემბერს ჟენევაში შესდგა „ხალხთა ლიგის" სხდომა იტალია-საბერძნეთის კონფლიქტის განსახილველად. იხილავენ ესპანეთის დელეგატის დე-ლეონის მიერ წამოყენებულ პროექტს პასუხისას ელჩთა კონფერენციისადმი მის განცხადებაზედ. პროექტი შეიცავს 8 მუხლს. პროექტის თანახმად კვლევა-ძიებას უნდა უხელმძღვანელოს „ხალხთა ლიგამ" და მანვე უნდა დაამტკიცოს კომისიის განაჩენი. ამავე პროექტით საბერძნეთმა უნდა გადაიხადოს ყველა კომპენსაციების საწინდრად 50 მილიონი ლირა. დასასრულ დე-ლეონის პროექტით კომპენსაციის თანხის განსაზღვრა შეუძლია მხოლოდ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს.

იტალიის წარმომადგენელი სალანდრა აცხადებს, რომ იტალია ვერ დასთანხმდება ლიგის მიერ კონფლიქტის განხილვას. იტალია იცავს უფლებას თვითონ გამოარკვიოს დაკმაყოფილების ფორმა, იგი წინააღმდეგია პასუხის გაგზავნისა.

პოლიტისი (საბერძნეთი) აცხადებს, რომ მას შეუძლებლად მიაჩნია ლიგის კომპეტენტობის საკითხის აღძვრა.

საფრანგეთის წარმომადგენელი აცხადებს, რომ იგი უნდა შეეკითხოს თავის მთავრობას.

რობერტ სესილი (ინგლისი). დეპეშის გაგზავნას არ სთვლის საჭიროდ, ხოლო ელჩთა კონფერენციისადმი პატივისცემის ნიშნად წინადადებას აძლევს გაუგზავნონ მას სხდომის ანგარიში, გადასწყდა ელჩთა კონფერენციას გაეგზავნოს მხოლოდ ანგარიში.

ამის შემდეგ „ხალხის ლიგის" საბჭო ულამაზოდ სცნობს დაინიშნოს სხდომა ვიდრე ელჩთა კონფერენცია არ გამოიტანს რაიმე გადაწყვეტილებას შემდეგი სხდომა ორშაბათზედ ადრე არ იქნება.

ელჩთა კონფერენცია შეუდგა, კონფლიქტის განხილვას.

ლორდ გრეიმ თავის სიტყვაში სთქვა, რომ თუ „ხალხთა ლიგა" არ გადასწყვეტს კონფლიქტს, იგი უნდა დაიშალოს.

იტალიელებმა დაიჭირეს კუნძული მაკსოსი და ემზადებიან კიდევ სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კუნძულების დასაჭერად. რათა აიცილოს თავიდან შეტაკება საბერძნეთმა სამხედრო გემები დასწია კუნძულ ბელოსუსბკენ (ეგეის ზღვის ჩრდილო ნაწილი).

როგორც კერძო ხმები დადის ბერლინში იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი ახალ სახეს იღებს, რადგანაც ალბანეთი წინააღმდეგია კვლევა-ძიებისა ალბანეთის ტერიტორიაზედ. აქედან ისეთი დასკვნა გამოყავთ, ვითომც ალბანეთი უფრო დამნაშავეა მკვლელობაში, ვიდრე საბერძნეთი. მუსოლინიც სცნობს ამის შესაძლებლობას.

გაზეთების ცნობით იტალია ცდილობს კორფუს ოკუპაცია დაუკავშიროს რურის ოკუპაციას და აგრძნობინოს საფრანგეთს, რომ თუ საფრანგეთი ხელს შეუშლის იტალიას, მაშინ იგი აღარ დაეხმარება საფრანგეთს რურში. პუანკარე ეტყობა შეფიქრიანებულია ამით.

მიუხედავად უარყოფისა, ხმები მობილიზაციის შესახებ ალბანეთსა და ბოლგარიაში მართლდება, ხმები აგრედვე, რომ საბერძნეთი აგზავნის ჯარს ალბანეთის საზღვარზედ და ამაგრებს თავის პორტებს.

არის იმის ნიშნებიც, რომ სერბეთი არ მიიღებს დროებით შეთანხმებას ფიუმეს საკითხში, რის შემდეგაც სერბიასაც და იტალიასაც ეძლევათ მოქმედების თავისუფლება.

გაზ. „ტრიბუნას" ცნობით ბრაზილია და ურაგვაი ემხრობიან იტალიას და მზად არიან გამოვიდნენ „ხალხთა ლიგიდან", თუ უკანასკნელი ჩაერევა კონფლიქტში.

მცირე ანტანტა პირიქით იმუქრება ლიგიდან გამოსვლით, თუ მან ვერ გადაწყვიტა კონფლიქტი.

ტრედ-უნიონისტების კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ახალი ომის დაშვება არას გზით არ შეიძლება და მოითხოვს მთავრობისაგან მიიღოს ყოველგვარი ზომა კონფლიქტის მოსაგვარებლად, მისი განხილვის „ხალხთა ლიგისათვის" გადაცემით.

კომუნისტებმა ამ რეზოლიუციაში შეიტანეს შესწორება და თხოულობდნენ მოწოდებით მიემართათ არა მოდავე მთავრობებისათვის, არამედ მათ მუშათა კლასისათვის. შესწორება უარყოფილ იქნა.

ხმები იტალიასა და საბერძნეთის შორის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ჯერ ნაადრევია.

### მიწის ძვრა იაპონიაში

იაპონიის ელჩის მიერ პეკინში მიღებულია იაპონიიდან პირველი ოფიციალური ცნობა, რომელიც ადასტურებს იოკაჰამის სრულ დანგრევას.

ოსაკიდან მოსულ ცნობებით კუნძული ოშიმა და ნახევარი კუნძული ოსა ყველა მცხოვრებლებით გაქრა.

ნავთსადგურ იოკოსუკოში დაიღუპა რამდენიმე სამხედრო გემი. იოკაჰამის ციხიდან ცეცხლის გამო გაიქცნენ ყველა ტუსაღები.

სახალხო განათლების მინისტრის ოკანოსა და იუსტიციის მინისტრის დოქტორ ხირანუმის შესახებ არავითარი ცნობა არ არის.

უკანასკნელი ცნობები იაპონიიდან გადმოგვცემენ ცნობებს იაპონიაში დიდი სასურსათო კრიზისის შესახებ.

ვულკანების ამოხეთქა რამდენიმე ადგილას ისევ გრძელდება. იოკაჰამში დაინგრა 2 გემების ასაშენებელი ქარხანა და დოკები. საოკეანო გემები დაიღუპა.

ზღვიდან გადმოსული წყალი განაგრძობს ტოკიოს დაფარვას.

უკანასკნელი ცნობებით სულ დაიღუპა ხუთასი ათასი კაცი, დაჭრილია 3 მილ.

ტოკიოსა და იოკაჰამში მიწის ძვრა გრძელდება. მიწის ძვრის ცენტრი იყო კუნძული იძუდა გავრცელდა 500,000 კვ. კილომეტრზედ.

ამ სივრცეზედ დაიღუპა ქალაქების და სოფლების 70-პროც. ზოგიერთ ადგილებში მიწის ძვრისაგან მიწა დახეთქილია ერთ მეტრზედ და უფრო მეტზედ სიგანით.

ამერიკის ადმირალის ცნობით იაპონიას ოქროს მარაგი დაეღუპა. ვლადივოსტოკში იენის კურსი ეცემა.

კაიამასა და მოზონიდან მიღებულ ცნობებით, ფუსის ფაბრიკის 1500 მუშა, რომელიც ხელფასის მომატებას თხოულობდა, ფაბრიკის გამგემ დაამწყვდია შენობაში, სადაც დაიღუპნენ მიწის ძვრის დროს.

სხვა ცნობებით ოქროს მარაგი, ისევე, როგორც ფლოტი და ტრანსპორტი გადარჩა. ფიქრობენ, რომ იაპონიის აღდგენისათვის გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდება, ვიდრე ამას გაზეთები სწერენ.

საფრანგეთის გაზეთები ფიქრობენ, რომ იაპონიის კატასტროფა გააძლიერებს შეერთებულ შტატებს, რადგანაც იაპონია ველარ იბრძოლებს წყნარ ოკეანეზედ ჰეგემონიისათვის.

პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა თანაგრძნობა გამოუცხადოს იაპონიის პროლეტარიატს.

ტოკიო ოსაკა-კობეს ტელეგრაფის პირდაპირი ხაზი აღდგენილია და ამრიგად იაპონია კვლავ დაუკავშირდა საერთაშორისო ტელეგრაფს.

### მუშათა მოძრაობა.

**ლონდონი.** ტრედ-უნიონების კონგრესზედ დევინმა ტრანსპორტის მუშათა სახელით ტრედ-უნიონ მტვირთავებს ბრალი დასდო ნავთსადგურების მუშების გაფიცვებში ჩარევაში, რათა ამით მიემხრო ტრედ-უნიონ-ტრანსპორტნიკების წევრები. წინადადება კონგრესზედ უმუშევართა ტრედ-უნიონების წარმომადგენლობის შესახებ უარყოფილ იქმნა.

**ვენა.** მთელს ბოლგარეთში დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება დატუსაღებულ კომუნისტებისათვის საწინდრის შესატანად.

**ლონდონი.** ტრედ-უნიონების კონგრესზედ ცხარედ აკრიტიკებენ გერმანიის საბჭოს უმოქმედებას რურში. პოლიტმა მექვაბეთა სახელით მოითხოვა ინგლისის ჯარის გაყვანა რურიდან. ტომასმა რკინის გზელთა სახელით აღნიშნა, რომ გერმანიის კავშირები თხოულობენ დატოვონ ინგლისის საოკუპაციო ჯარი, რათა ფრანგებს არ შეეძლოთ რურის ოლქში მოქმედება თავის შეხედულებით.

**მოსკოვი.** კომინტერნმა და პროფინტერნმა მიმართეს მთელ- ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებს და იწვევს მათ შეერთებულ კონფერენციაზედ 10 სექტემბრისათვის. კონფერენციის მიზანია გერმანიის პროლეტარიატისათვის დასახმარებლად პრაქტიკული ზომების გამონახვა. კონფერენციაზედ მიწვეული არიან ყველა მუშათა ორგანიზაციები გარდა ჰამბურგისა და ამსტერდამის ინტერნაციონალებისა.

**კიევი.** ქ. ბუგუსლავის მკერავ-მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და მიმართეს ყველა მოქალაქეთ ბოიკოტი გამოუცხადონ ექსპლოატატორებს.

**მოსკოვი.** პროფესიონალურ განვითარების ლიგის კანადის კონფერენციისაგან პროფინტერნმა მიიღო დეპეშა, რომელშიაც უძღვნის სალამს და აღნიშნავს ლიგის მტკიცე გადაწყვეტილებას მუშათა კლასის განთავისუფლების შესახებ.

**ლონდონი.** ტრედუნიონების კონგრესზედ სამხრეთ უელსის მიწის მთხრელების წარმომადგენლის, კუკას შეკითხვაზედ—დაუშვებენ თუ არა კონგრესზედ წითელ პროფინტერნს, კონგრესის მდივანმა ბაუერმანმა უპასუხა, რომ შეკითხვა დაგვიანებულია.

ის რომ დროზედ ყოფილიყო წამოყენებული, გენერალური საბჭო მზად იქნებოდა მიეღო პროფინტერნის წარმომადგენელიო.

შემდეგი წლისთვის საბჭო მზად არის განიხილოს შესაფერი წინადადება.

**ბერლინი.** გერმანიაში კომუნისტების დევნამ გამოიღო ის ნაყოფი, რომ კომუნისტურ დევნამ გამოიღო ის ნაყოფი, რომ კომუნისტურ პარტიაში უფრო მეტი ეწერება

### უცხოეთი.

**პარიზი.** კონსტანტინოპოლში 27 სექტემბერს იხურება უცხოეთის საფოსტო განყოფილებები.

**ბერლინი.** ინგლისის ფინანსთა ექსპერტმა გილტონ იუნგმა პოლონეთის მთავრობისაგან წინადადება მიიღო იკისროს პოლონეთის ფინანსების რეფორმა. იუნგი წინადადებაზედ დასთანხმდა.

**რომი.** ირლანდიაში მთავრობის ჯარსა და აჯანყებულთა შორის მოხდა ახალი შეტაკებანი. დაპატიმრებულია 70 რესპუბლიკანელი.

**რომი.** იუტლანდიაზედ (დანია) გადაიარა საშინელმა გრიგალმა, რამაც წაახდინა მოსავალი და დაღუპა საქონელი. კუნძული მანოელი წყალმა დაფარა.

**ვარშავა.** პოლონეთის მთავრობამ მუსოლინი დაასაჩუქრა თეთრი არწივის ორდენით.

**რიგა.** რიგაში ჩამოვიდნენ წერეთელი და ჰუისმანსი მიტინგზედ მონაწილეობის მისაღებად.

**პარიზი.** საფრანგეთი შეეკითხა მექსიკას მისაღებია მისთვის ელჩად ბლონდელი, თუ არა. ეს მოვლენა ნიშნავს საფრანგეთის მიერ მექსიკის ავტომატიურ ცნობას.

**ვენა.** რუმინეთის ფაშისტთა ბელადის განცხადებით, მათი მიზანია ძალა-უფლების ხელში ჩაგდება იტალიის მსგავსად და ინტერნაციონალთან ბრძოლა. ფაშისტებს ოფიციალურად მხარს უჭერს შინ. საქ. მინისტრი ვაიტონი.

**პარიზი.** მადრიდის პრესა იხილავს იტალიის ჩარევას ტანჯერის საკითხში და ამბობს, რომ იტალიის კრეისერის მოსვლა მაროკოში და კარაბინერების დესანტი ტანჯერში არის ახალი საბაბი ამ ორ სახელმწიფოთა შორის უთანხმოებისათვის.

**პარიზი.** უკანასკნელ დღეებში პარიზის ბირჟაზედ რუსეთის ფასიანი ქაღალდების ფასი მაღლა იწევს. საფრანგეთის ფინანსისტების აზრით ეს დაკავშირებულია სენატორ დე-მონზის რუსეთში მგზავრობასთან.

**პეკინი.** კარახანის პატივსაცემლად გამართულ ბანკეტზედ ჩინეთის მომავალ რუსეთ-ჩინეთის კონფერენციაზედ გასაგზავნ დელეგაციის თავმჯდომარემ ვან-ჩენ-ტინმა აღნიშნა რუსეთ-ჩინეთის დაახლოვების საჭიროება. აქამდის ჩინეთის მეგობარი იყო ამერიკა, ეხლა კი იმედი მაქვს რუსეთის სახით ვიპოვოთ მეორე ასეთივე მეგობარიო.

საპასუხო სიტყვაში კარახანმა აღნიშნა, რომ ჩინეთსა და რუსეთს აქვთ საერთო ფრონტი საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელიც ორივე ხალხს აერთებს. რაც შეეხება ამერიკის მეგობრობას, ამბობს კარახანი, რუსეთი არასდროს არ გაყვება მის გზას თავის პოლიტიკაში ჩინეთის მიმართ. ჩინეთისა და რუსეთის მეგობრობის პრინციპი არის ორი ქვეყნის თანასწორობაო.

**ლონდონი.** თითქმის ყველა გაზეთები ბეჭდავენ „ბეკოსის" კომისიის ანგარიშს და არჩევენ მასალას რუსეთის სასარგებლოდ. ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას.

# ახალი ამბები

— **გადასახადების ახალი კურსის შემოღება.** ქალ. აღმასკომმა შემოიღო გადასახადთა შემდეგი წესი: ელექტრონის სამართველოსა და წყალსადენისათვის, დაწესდეს ყოველ კვირეული კურსი გადასახადის შესაკრებად მხოლოდ იჯარებზე და სხვა გადასახადებზე ყოველ დღიური კურსი.

— **სახალხო სახლის იუბილე.** სახალხო სახლის შესრულების 30 წლის გამო განზრახულია იუბილე, რომელიც უნდა გამართულიყო ზაფხულში, გაიმართება ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში.

— **ჭლექის წინაამდეგ.** ქობულეთში ჭლექის წინააღმდეგ დაარსდა საავადმყოფო 50 საწოლით.

— **ქიმიური ტეხნიკუმი.** ტფილისის მე-20 ტეხნიკუმი გადაკეთდა ქიმიურ ტეხნიკუმად.

— **შეშა მოსამსახურეთათვის.** სახალხო სახალხო სასურსაო კომისარიატმა გადასწყვიტა მიაწოდოს მუშა-მოსამსახურეებს შეშა იაფ ფასებში. მომარაგებელ განყოფილებას მიეცა ამის შესახებ სათანადო განკარგულება.

— **ფართლეულობა მოშა-მოსამსახურეთათვის.** სასურსათო კომისარიატის ადგილკომმა, შუამდგომლობა აღძრა, რომ სასურ. კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებს საფეიქრო ქარხნიდან მიეცეთ ფართლეულობა შეღავათიან ფასებში.

— **ქართული ენის კურსები.** უახლეს ხანში სასურსათო კომისარიატის აღმასკომის თაოსნობით იხსნება ქართული ენის კურსები, რომლებშიაც უკვე ჩაეწერა 42 მოსამსახურე.

— **მუშა მოსამსახურეთა საავადმყოფო.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მუშა-მოსამსახურეთათვის იხსნება საავადმყოფო 10 საწოლით.

— **პოლონელ მოქალაქეთა ეშელონის გასტუმრება სამშობლოში.** ტფილისში მყოფ პოლონელ მოქალაქეთა ეშელონი, თანახმად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილებისა, სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნება 15 სექტემბერს.

— **დახმარება მბეჭდავთა კავშირის უმუშევართა წევრებს.** მბეჭდავთა კავშირმა გადასწყვიტა ყოველ-კვირეული დახმარება აღმოუჩინოს თავის უმუშავარ წევრებს შემდეგი რაოდენობით: ოჯახიანებს საქონლის 2 მან. მხოლოდ უოჯახოებს საქონლის 1 მ. 50 კ.

— **გორის აღსადგენად.** ამიერ კავკ. რკინის-გზის კოოპერარიულმა კავშირმა გორის აღსადგენათ გაიღო 10 ჩერნვონეცი, ხოლო სახალხო ბანკმა 500 მან. ოქროთი.

— **შრომის ბირჟა.** 7 სექტებრს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 593 უმუშ., სამუშაოზე გაიგზავნა 60 უმუშ.

— **ვალიუტის კურსი.**

8 სექტემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 44,500,000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 42,200,000 | „ |
| ჩეკი. | 41,500,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 9,500,000 | „ |
| ჩეკი. | 8,800,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 6,050,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 21,000 | „ |

# მუშათა ცხოვრება

## სახელმწიფო ენის თუ უკანონო სამსახურის შესახებ.

(პასუხი ამხ. ი. კაციტაძეს)

ამხ. კაციტაძე ძლიერ აუღელვებია დამზღვევ კასის უწესრიგობას, რომელიც არც ნაციონალიზაციას ატარებს ცხოვრებაში და თურმე შრომის კანონებს არღვევს.

რაშია საქმე? გასულ დღეებში გაზეთებში მოთავსებული იყო შენიშვნა ძმებ ბუხბინდრების შესახებ. ვინ არიან ეს ბუხბინდრები ან სად მსახურობენ ისინი.

ერთი ბუხბინდერი მსახურობს დამზღვევ კასის ფულის ამკრეფ განყოფილებაში აგენტად, ხოლო მეორე ბირჟასთან არსებულ უმუშევართა დამზღვევის განყოფილებაში მოლარედ.

ამ განყოფილებათ არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან. აგენტ ბუხბინდერს ყავს თავისი ოჯახი, რომელსაც ის არჩენს, მოლარე ბუხბინდერი არჩენს თავის მშობლებს და ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მგონი, რომ ცხადია მათი ჯიბე საერთო არ არის.

მაგრამ რაკი პრესაში გაჩნდა შენიშვნა, დამზღვევ კასას ეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია. საკითხი დასმულია შრომის კომისარიატის საორგ. განყოფილებაში და იქიდან ველით პასუხს. რასაც კანონი გვეტყვის, ისე მოვიქცევით. რაც შეეხება სახელმწიფო ენას აქ კი ამხ. კაციტაძე არ ერკვევა საკითხში და მიუდგომლად არ მსჯელობს.

ორთავე ბუხბინდრებმა ამხ. კაციტაძევ. საუცხოვოდ იციან სახელმწიფო ენა; ტყუილის ლაპარაკი არ არის ლამაზი.

რაც შეეხება საერთოდ ნაციონალიზაციას კასაში აქ ყველაფერი შესაძლებლობის ფარგლებში გაკეთებულია. 7—8 კაცმა თუ ქართული არ იციან იმათ ერთი ხელის დაკვრით ვერ გავაქართველებთ, და მათი ბრალი არ არის, რომ ისინი ქართველებად არ დაბადებულან.

კურსებიც ამისათვის არსებობს, ვადაც იმიტომ აქვთ მათ მიცემული ქართული ენის შესასწავლად, რომ ნაციონალიზაცია გატარდეს, როგორც დამზღვევ კასაში ისე საერთოდ.

ი. ლომაძე.

---

# ტფილისის ადმინისტრაციის საყურადღებოდ.

დაახლოვებით ამ ერთი თვის წინა რიცხვებში იყო დეკრეტი ლოთობის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრებოდა ლოთებს დიდი სასჯელით და ჯარიმებით, არ ვიცი რას უნდა მიეწეროს ლოთობის გავრცელება, რაც რომ დეკრეტი გამოვიდა ლოთობის წინააღმდეგ, ლოთობა უფრო გახშირდა, პატიოსან გაჭირვებულ დაქანცულ მოქალაქეს არ აქვს თითქმის საშუალება ქუჩაში გაიაროს თავისუფლად (უბნებში). მე, როგორც მუშა, არ შემიძლია მუშურად არ ვსთქვა სიმართლე, აქ აუცილებლად აქვს მეტი დანაშაული ქალაქის ადმინისტრაციას (მილიციას), რომ ის არ ატარებს ცხოვრებაში მთავრობის დადგენილებას ლოთობის წინააღმდეგ, და თუ ატარებს ისიც შეიძლება ვსთქვათ ძალიან სუსტად.

ეს კი დიდი დანაშაული არის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ადმინისტრაციის მხრიდან. მე რამდენადაც ვიცი ხელისუფლება რომელ დეკრეტსაც გამოუშვებს ის აუცილებლად ცხოვრებაში ტარდება. ამისათვის საჭიროა ვისგანაც ჯერ არის იყოს ლოთობის წინააღმდეგ სასწრაფო ზომები მიღებული.

ი. კაციტაძე.

---

# გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციას

გაზ. „ტრიბუნის“ № 564-ში (4 სექტემბერი 1923 წლ.) ამხ. გ. მაღრაძე, აღწერს რა საბურთალოში შექმნილ მდგომარეობას (მალიარია, სახლების ნგრევა და სხვა), ეკითხება აღმასკომს— იღებს თუ არა უკანასკნელი რაიმე ზომებს.

აღმასკომის პრეზიდიუმი ამით გაცნობებთ, რომ 30 აგვისტოს მან დაადგინა საბურთალოში მალიარიასთან ბრძოლისათვის არხების გაწმენდისა და გაყვანის შესახებ: „დაევალოს კომუნალურ განყოფილებას მუშაობის გამორკვევა და ხარჯ-აღრიცხვის შედგენა, რის შემდეგ მიეცეს სათანადო თანხა სამუშავოს სასწრაფოთ შესასრულებლად“.

საბურთალოში მალიარიასთან ბრძოლის მიზნით აღმასკომმა ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში დიდი მუშაობა გასწია. მაგალითად: არხების გაყვანა ჭაობების დაშრობის მიზნით, ქინაქინის მიწოდება მცხოვრებლებზე და სხვა. ამ ზომებმა შესაფერი გავლენა იქონიეს მალიარიის მსვლელობაზე და ეს სენი მინიმუმამდე დაიყვანეს.

ამ ჟამად აღმასკომი იღებს კიდევ დამატებითი ზომებს, რომ ეს სენი აღმოფხვრას საბურთალოში. ეს ზომები გატარებულ იქნება დაკვრითი წესით.

რაც შეეხება სახლების ნგრევას, ამას აღმასკომის პრეზიდიუმი რასაკვირველია, მიაქცევს სერიოზულ ყურადღებას და ნებართვებს სახლების გადატანისა და დანგრევის შესახებ გასცემს მეტის დაკვირვებით.

შესაფერისი განკარგულება ამის შესახებ უკვე გაცემულია.

აღმასკომის თავმჯდომარე:

ხუხიშვილი.

---

# პარტიაში

განცხადება: თანახმად ტფილისის კომიტეტის დადგენილებისა, მოქ. **შალვა სიჭინავა** გამორიცხულია საქ. მემარცხენე სოც.--ფედ. სარევ. პარტიიდან, როგორც მერყევი პიროვნება და „შკურნიკი“.

---

ტფილისის კომიტეტი იწვევს ამხანაგებს: კაპიტონ ბაქრაძეს, შალვა დოლიძეს, შალვა ფირცხალავას, არჩილ ჭელიძეს, ივანე წერეთელს, ალექსანდრე კამკამიძეს და ავთანდილ ჩილიკაძეს, რათა გამოცხადდენ კომიტეტში 11 სექტემბერს საღამოს 7 საათზე.

კო—ის მდივანი **ხეფერთელაძე.**

---

მე-4 რაიკომი სთხოვს მსურველთ ჩაეწერონ მომღერალთა გუნდში ამხ. ნიკ. საყვარელიძესთან, რომელსაც მიენდო გუნდის შედგენა და ხელმძღვანელობა.

მე-4 რაიკომის პასუხ. მგებელი მდივანი

აკ. სირაძე.

---

### შორაპნის სამაზრო კონფერენცია.

26 აგვისტოს, დილის 11 საათიდან, შორაპნის რკინიგზის მუშათა კლუბში-ნელ-ნელა იკრიბებიან მოწვეული დელეგატები. ყველას სიმხიარულე ემჩნევათ და მოუთმენლად მოელიან მთავარი კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. სერგო ამაღლობელს.

თერთმეტ საათს და ოცდა ათ წამზე იხსნება კონფერენცია. კონფერენციას სამაზრკომის სახელით ხსნის ამხ. შ. გაჩეჩილაძე, რომელიც გახსნისთანავე მიესალმა დელეგატებს და უსურვა კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: საპატიო თავმჯდომარეებათ; ამხ. თედო ღლონტი, იაკ. ფანცხავა და პ. ჭანიშვილი. კონფერენციის თავმჯომარეთ ამხ. ვასო ყიფიანი, მის ამხანაგად თუხარელი, მდივნებათ გ. კეკნაძე და მიშა მეტრეველი.

დღის თორმეტ საათზე პირველ სხდომას გახსნილად აცხადებს თავმჯდომარე. არჩეულ იქნა სამანდატო კომისია სამი კაცისაგან: 1) პ. თურმანიძე, 2) მ. ჟღენტი და 3) ანდრო დევდარიანი, რის შემდეგაც მუშავდება რეგლამენტი და დამტკიცდა დღის წესრიგში.

საერთაშორისო მდგომარეობას და საქართველოს შესახებ, მოხსენებას აკეთებს ამხ. სერ. ამაღლობელი.

მომხსენებელმა ფართოდ გააშუქა ეს საკითხი დელეგატების წინაშე, რასაც მოყვა მრავალი შეკითხვები. ფრიად საყურადღებო შეკითხვები მისცა ამხ. ვლ. მანჯავიძემ. შეკითხვებზე ამხანაგებმა დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს.

მოხსენების შემდეგ სათანადო რეზოლიუციის გამოსატანად კონფერენცია ადგენს: რეზოლიუციები, ამა თუ იმ საკითხის შესახებ იქნეს გამოტანილი, ყველა საკითხების გარჩევის შესახებ.

სრული სამ საათსე თავმჯდომარე პირველ სხდომას რეგლამენტის თანახმად დახურულად აცხადებს.

სხდომა იხსნება საღამოს ექვს საათზე, თავმჯდომარეობს ამხ. ყიფიანი. კონფერენცია ისმენს სამანდატო კომისიის მოხსენებას, შემდეგ პირველი მოხსენების გარშემო სიტყვა ეძლევა ქვაციხის ორგანიზაციის დელეგატს ამხ. ბესარიონ ჟღენტს, ის უმთავრესად შეეხო ჩვენი პარტიის ტაქტიკას და აღნიშნავს, რომ საჭირო იყო მისი დღის წესრიგში დასმაო.

2) პარტიული მუშაობა. მომხსენებლად გამოდის ამხ. სერ. ამაღლობელი, აღნიშნავს ჩვენი პარტიის მოქმედებას და პარტმუშაობისათვის დელეგატებს აძლევს სათანადო დირექტივებს. მომხსენებელს მისცეს შეკითხვები და სათანადო დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს. მოხსენების შემდეგ სიტყვას ამბობს „პარტმუშაობაზე“ ამხ. ბეს. ჟღენტი აღნიშნავს, რომ პარტიული მუშაობა ეს უბრალო საკითხი არ არის. ეს სერიოზულად უნდა ავწონდავწონოთ და სათანადო დადგენილება გამოვიტანოთო.

ამხანაგი უთითებს დელეგატებს მთავარი კომიტეტის სისუსტეს პარტიულ მუშაობაში, როგორც ლიტერატურის ისე პროპაგანდა — აგიტაციის მხრივ. აგრეთვე ამბობს, რომ ეროვნული საკითხი რუსეთის XII-ტე ყრილობის შემდეგ ძალიან ცუდათ არის გატარებული, რაზედაც მთავარ კომიტეტს, როგორც პრესაში სჩანს, არავითარი ზომები არ მიუღია.

3). მოხსენებანი ადგილებიდან. მოხსენება გააკეთეს: ხარაგოულის ორგანიზაციიდან ამხ. გ. კიკნაძემ, მოლითიდან--ამხ. პ. თურმანიძემ, შორაპანზესტაფონიდან—ვლ. მანჯავიძემ, ქვაციხიდან—ბეს. ჟღენტმა, ბაზალეთიდან—ანდრო დევდარიანმა და სხვ.

მომხსენებლები ორგანიზაციის სახელით ერთსა და იმავეს მოითხოვდენ, რის შემდეგ გამოირკვა; მუშაობა ყველა ორგანიზაციებში შეძლების და გვარად სწარმოებს. წევრობის მსურველთა რიცხვი ბევრია. მოითხოვენ მომზადებულ ამხანაგების მიერ ლექცია-მოხსენებების კითხვის.

4) სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შ. გაჩეჩილაძე. ის აღნიშნავს უმთავრესად რა პირობებში უხდებოდა მუშაობა სამაზრკომს და რა დაბრკოლებებიც ელობებოდა მუშაობას, რა გააკეთა სამაზრკომმა და რისი გაკეთება უნდოდა შემდეგში.

5) მიმდინარე კითხვებში გაირჩა შემდეგი საკითხები: ა) პარტიაში მიღების წესები ახალ წევრთათვის, ბ) პარტსამართლის დაარსება, გ) სამაზრო ცენტრი და დ) პარტიის გაწმენდა, რის შემდეგაც დადგენილ იქნა: ეთხოვოს ცენტრს სათანადო ინსტრუქცია პარტიაში მიღების წესებისა და პარტიის გაწმენდის შესახებ.

სამაზრო ცენტრად არჩეულ იქნა დ. შორაპანი. დაევალა სამაზრკომს ყოველ ცალ-ცალკე შემთხვევებში გამოჰყოს თავის შემადგენლობიდან წევრები პარტიულ სასამართლოსათვის.

6) არჩევნები სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა. სამაზრო კომიტეტში არჩეულ იქნა: 1—ვლადიმერ მანჯავიძე, 2—მიშა მეტრეველი, 3—შალვა გაჩეჩილაძე, 4—ვასო ყიფიანი, 5—ტიხონ ნიქაბაძე, 6—ანიკო საყვარელიძე და 7—პ. თურმანიძე.

კანდიდატებათ: 1—ნიკო თუხარელი და 2—ალიოშა აბაშიძე.

სარევიზიო კომისიაში: 1—მიხეილ ჟღენტი, 2 ლადო მურმანიშვილი, 3—კოტე საყვარელიძე.

**რეზოლიუციები.**

პირველ საკითხის შესახებ: შორაპნის მემარცხენე სოც.-ფედ. სამაზრო კონფერენციამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. სერ. ამაღლობელისა: **„საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო“**—მიიღო რა მხედველობაში, რომ I) საერთაშორისო ბურჟუაზიის პოლიტიკური გამარჯვება ვერ უზრუნველჰყოფს კაპიტალიზმის აღდგენის პირობებს, 2) რომ კაპიტალის თავდასხმა მუშათა კლასზე იწვევს ახალ პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისებს, 3) რომ იმპერიალისტური პოლიტიკის უაღრესობა იწვევს კოლონიალურ ერთა მოძრაობას, 4) რომ ყოველივე ზემო აღნიშნული ჰქმნის კაპიტალიზმის განადგურების ნიადაგს და 5) რომ საქართველოს ეროვნულსოციალისტურ ინტერესებს უზრუნველჰყოფს მხოლოდ რევოლიუციის საბოლოვო გამარჯვება,—დაადგინა:

1—კონფერენცია სავსებით სდგას პარტიულ ყრილობის რეზოლიუციების ნიადაგზე, რომელიც იცავს რევოლიუციის ორიენტაციას და ბრძოლას ეროვნულ სოციალისტურ იდეალისათვის.

2—კონფერენცია მტკიცედ იცავს პარტიის პროგრამის ძირითად პრინციპებს, სოციალ-ფედერალიზმის საფუძვლებს.

3) კონფერენციას საჭიროთ მიაჩნია მთავარი კომიტეტის მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნაციონალურ საკითხის პარტიის ძირითადი პრინციპების და ტაქტიკის გაშუქებას.

პარტიულ მუშაობის შესახებ: კონფერენციამ მიიღო მხედველობაში, რომ პარტიულ მუშაობისათვის პირობები შეიცვალა და დაადგინა: 1) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გაზეთის გავრცელებას.

2) ეთხოვოს მთავარ კომიტეტს, რომ ყურადღება მიაქციოს ცოცხალ პროპაგანდას და ინსტრუქტორები გამოგზავნოს ადგილობრივ მუშაობისათვის.

3) კონფერენცია საჭიროდ სცნობს, გლეხთა მასების შემოკრებას, რისთვის აუცილებელია როგორც პროპაგანდა სიტყვით, ისე პოპულიარული ლიტერატურით. ამისათვის ეთხოვოს ცენტრს აღნიშნული ლიტერატურის მოწოდება.

კონფერენცია საჭიროთ სთვლის აღნიშნოს, რომ გაზეთი „ტრიბუნა“ უნდა აწარმოებდეს უფრო ადგილობრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ კომპანიას, უნდა აძლევდეს ორგანიზაციებს პარტიის პროგრამულ-პრაქტიკულ ვრცელ სურათს.

მესამე საკითხი, მოხსენება ადგილებიდან. 1) კონფერენცია ავალებს სამაზრო კომიტეტს ინსტრუქტორის დაქირავებას, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს პარტიულ მუშაობისათვის ორგანიზაციებს.

2) აგრეთვე ევალება სამაზრო კომიტეტს პასუხისმგებელ კორესპონდენტების დანიშვნა, პარტიულ ბიუროს გახსნა, საჭირო ინვენტარის შეძენა, ზრუნვა ორგანიზაციების ფინანსიური მხარისათვის და სხვა.

სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ:

მოისმინა რა კონფერენციამ ანგარიში სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ ადგენს: კონფერენცია ითვალისწინებს იმ ხელშემშლელ პირობებს, რომელშიდაც კომიტეტს უხდებოდა მუშაობა, აღიარებს ამ მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად და აღიარებს ამ მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად და უცხადებს მადლობას.

ღამის ათ საათს და ოცდა ხუთ წამს თავმჯდომარე კონფერენციას დასრულებულად აცხადებს.

**მიშა მეტრეველი.**

P. S. ქუთაისის ორგანიზაციის სახელით ამხ. იაკ. ფანცხავასაგან კონფერენციამ მიიღო მისასალმებელი დეპეშა.

მ. მ.

---

# ხელოვნება

**ხელოვნების დასაცავად**

პროვინციაში ხელოვნებას აჩირებული მ[...] რები ჰყავს.

ეს „ქურუმები“ ხელოვნებას ჯვარს აცვამ[...]

ყოველი ბედის მაძიებელი, ყოველი უს[...] უანბანო და ყოველ საქმეში გამოუსადეგარი ა[...] გაზრდა მიისწრაფვის „ხელოვნების სასამსახურ[...]

ყოველ სოფლის გაუქმებულ ეკლესიაში [...] სხვა ცოტაოდენ მოზრდილ შენობაში იმარ[...] „გრანდიოზული საღამოები წარმოდგენებით“..

ვახშმებით, „კაბარებით“...

ამ წარმოდგენებზე ლაპარაკიც სასირცხო[...] ქუჩური გინება ცემა-ტყეპა დოლ-არღანის [...] ნუწყვეტელი ჭყივილი...

რა თქმა უნდა როლი არავინ იცის, რა თქმა[...] და პიესის არავის არაფერი გაეგება... ასეთ წარმ[...] გენების ბილეთებს ხშირად ძალით აჩეჩებენ გ[...] ხობას ხელში.

გლეხობა ყველა გამვლელ-გამომვლელს [...] დარება, რომ ამ გამრყვნელ და გამხრწნელ „წ[...] მოდგენებისაგან“ ისინი იხსნან...

და ვისთვისაც ძვირფასია ქართული ხელ[...] ნება, ვისაც აინტერესებს ქართველ გლეხურ მა[...] ბედი, ჰმართებს ხმის ამაღლება!..

თუ ვინმე ჰფიქრობს კეთილ საქმეს, პროვ[...] ციაში წარმოდგენების გამართვას ეს პირველ ყ[...] ვლისა უნდა იკისრონ ცენტრის აკადემიურ თე[...] რების დასებმა...

ზაფხულობით მაინც უნდა გამოიყოს ე[...] მოგზაური დასები და პროვინციასაც ეწილა[...] ხელოვნების მადლი!..

თორემ „ვახშმის“ ხალხი ჩვენს ხელოვნება[...] გლეხებს დიდი ხნით გულს გაუტეხს და მისად[...] მტრულად განაწყობენ...

ჩვენის აზრით საჭიროა შემთხვევითი ხალ[...] სახელოვნო უწყებიდან საჭირო სიმტკიცის (მოწმ[...] ბის) არა მქონეს სასტიკად აეკრძალოს სოფლებ[...] წარმოდგენების მართვა და მითი მახინჯი სპე[...] ლიაცია...

ხელოვნების დასაცავად პირველ ყოვლისა გ[...] ნათლების უწყებამ უნდა გადასდგას პრაქტიკუ[...] ნაბიჯი...

ევროპიელი.

---

# წერილები რედაქციის მიმართ

**ამხ. რედაქტორო!**

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგ[...] ლი დაუთმოთ ჩემს განცხადებას. დღემდე მე არ[...] ერთ პარტიაში არ ვმუშაობდი, დღეს კი დავრ[...] წმუნდი, რომ საქართველოს მემარცხენე სიციალის[...] ფედერალისტები არიან დამცველნი მუშათა კლ[...] სის ინტერესებისა, რის გამო დღეიდან მსურს ვი[...] ნე წევრი მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა პარ[...] ტიისა.

ა. ტყეშელაშვილი.

---

**ამხ. რედაქტორო!**

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში, ადგ[...] ლი დაუთმოთ ჩემს განცხადებას. დღემდე არც ერ[...] პოლიტიკურ პარტიაში არ ვმუშაობდი; დღეს დავრ[...] წმუნდი, რომ საქართველოს მემარცხენე სოცია[...] ლისტ-ფედერალისტები დგანან მტკიცედ ეროვნუ[...] ნიადაგზე და არიან დამცველნი მუშათა კლასი[...] ინტერესებისა, მსურს ვიქნე მემარცხენე სოციალ[...] ფედერალისტთა პარტიის წევრი.

ვ. ჩოგოვაძე.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა:** მემარცხენე სოციალისტ-ფედე[...] რალისტთა სარევოლიუციო [...] პარტიის მანდატი № 172, სამხედრო აღრიცხვ[...] დროებითი მოწმობის ასლი № 1083 და შრომი[...] ბირჟის წიგნაკი, ნომერი არ მახსოვს მიხეილ უკ[...] ლებაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

№ 448 მიხეილ უკლებაშვილი.

# ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამართველო

**ამით აცხადებს, რომ ა. წ. 18 სექტემბერს**

## დანიშნულია

# შეჯიბრება

**დროებითი ქვის აბანოს სამუშაოთა ადგილზე იჯარით აღების შესახებ.**

**ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალებით,** ხოლო მოიჯარადრის ხელსაწყოთი.

სამუშაოს შესრულების ვადა ოთხ-ნახევარია, იმ პირებს, რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაონი, შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტებში დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე.

წარწერით: „1923 წ. 18 სექტემბრის შეჯიბრებისათვის“. ამავე დღეს გაიხსნება კონვერტები.

ვრცელ პირობებთან და ნახაზებთან გაცნობა შეიძლება „ზაჰესის“ ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე 10—12 საათამდე (ქ. ტფილისი ლ. დუმბაძის ქუჩა № 3). აქედანვე გაიცემა დაწესებულ ფორმის ბლანკები განცხადებისათვის.

1—1 სამუშაოთა უფროსის თანაშემწე გ. კიკნაძე

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 620 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტერნის ქ. № 4.